ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №გ-89. 89251982

2025 წლის 17 ივლისი

ქ. ყვარელი

ქ. ყვარელში სამი უსახელო ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად:

1. ქ. ყვარელში, სამ უსახელო ქუჩას მიენიჭოს:

ა) დავით აღმაშენებლის VI შესახვევის სახელი, დანართის შესაბამისად;

ბ) დავით აღმაშენებლის VII შესახვევის სახელი, დანართის შესაბამისად;

გ) დავით აღმაშენებლის VIII შესახვევის სახელი, დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების საფუძველზე ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის განმავლობაში უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. ეს განკარგულება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს გამოსაქვეყნებლად.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

საკრებულოს თავმჯდომარე ილია მზექალაშვილი